

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 14 სექტემბრის
დადგენილება № 307

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წესდების ახალი რედაქციის პროექტში
ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წესდების ახალი რედაქციის პროექტის ქვემოთ მითითებულ მუხლებში და
ისინი ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი რედაქციით.

1.

მუხლი 2. „უნივერსიტეტის სტატუსი და სიმბოლიკა“, პუნქტი 1, ქვეპუნქტი ა)
ნაცვლად:

ა) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში შეიმუშავენ და
ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის
(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) საგანმანათლებლო
პროგრამებს. ასევე სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს;

უნდა იყოს:

ა) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში შეიმუშავენ და
ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის
(ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) და პროფესიული
განათლების ხუთივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე სხვა
საგანმანათლებლო პროგრამებს;

2.

მუხლი 2. „უნივერსიტეტის სტატუსი და სიმბოლიკა“, პუნქტი 3
ნაცვლად:

უნივერსიტეტის გერბი არის ფიგურებისა და სიმბოლოების ერთობლიობა,
რომლის, არქიტექტონიკაში ძირითადი ადგილი უჭირავს ვანის არქეოლოგიური
გათხრების დროს აღმოჩენილ, ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნით
დათარიღებულ, საქართველოს მხატვრული სამსხმელო წარმოების ნიმუშის,
ბრინჯაოს არწივის (მართვეს) გამოსახულებას.

გერბის კომპოზიციაში მართვეს ქანდაკება ისეთი რაკურსითაა ნაჩვენები,
რომ მკაფიოდ ჩანს ფრინველის ასაფრენად მზადყოფნა, მთლიანად გაშლილი
ფრთები, პროფილი და ჰერალდიკური არწივისათვის დამახასიათებელი

მარჯვნივ მოტრიალებული თავი. იგი თავისი მძლავრი ფეხებით დგას კონსტრუქციაზე, რომელიც აგებულია უნივერსიტეტის ქართული და ლათინური დასახელებების ასონიშნებით და რომლის ცენტრალურ ნაწილში ჩაწნულია სტილიზებული მონოგრამა „სტუ“.

კონსტრუქციის სილუეტი მიგვანიშნებს სტუ-ს ადმინისტრაციული შენობის კონტურზე და ამასთან ერთად გადაშლილი წიგნის შთაბეჭდილებასაც ქმნის.

მართვე, ახალგაზრდობის დაფრთიანების, ცოდნით გაძლიერების მეტაფორული ფიგურაა.

გერბის ფუძეში განფენილია სადევოზე ბაფთა. ბაფთაზე ქართულ და ლათინურ ენებზე წარწერილია დევიზი „ცოდნა ძალაა“. ბაფთის ცენტრალურ ნაწილში მითითებულია უნივერსიტეტის დაარსების თარიღი „1922“ .

კომპოზიციას ამთავრებს ქართული კოსმოგონიური სიმბოლო (ზემო-სკრა, Xს.), რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადრინდელი გერბის ძირითად კომპოზიციურ ელემენტს წარმოადგენდა.

უნდა იყოს:

უნივერსიტეტის გერბის არქიტექტონიკაში ძირითადი ადგილი უჭირავს ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ, ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნით დათარიღებულ, საქართველოს მხატვრული სამსხმელო წარმოების ნიმუშის, ბრინჯაოს არწივის (მართვეს) გამოსახულებას.

გერბზე ლათინურ ენაზე წარწერილია დევიზი „Scientia potestas est“ („ცოდნა ძალაა“) და უნივერსიტეტის დაარსების თარიღი „1922“.

3.

მუხლი 3. „უნივერსიტეტის უფლებამოსილება“, პუნქტი 3.

ნაცვლად:

3. უნივერსიტეტს აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში, საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის უფლება. ასევე სხვა ნებისმიერი საქმიანობის უფლება, რაც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

უნდა იყოს:

3. უნივერსიტეტს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში, აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის უფლება, ასევე სხვა ნებისმიერი საქმიანობის უფლება, რაც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

4.

მუხლი 5. „უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები“, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ა)

ნაცვლად:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობაში: საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტებსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე, რომლებიც აქტიურად შეუწყობენ ხელს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივი გარემოსა და რესურსების დაცვასა და გონივრულ გამოყენებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.

უნდა იყოს:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობაში: საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება აკადემიური და პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ სპეციალისტებსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე, რომლებიც აქტიურად შეუწყობენ ხელს საქართველოში ეკონომიკურ ზრდას, ბუნებრივი გარემოსა და რესურსების დაცვასა და გონივრულ გამოყენებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.

5.

მუხლი 5, პუნქტი 3, ქვეპუნქტი ა)

ნაცვლად:

ა.ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების – ბაკალავრების მომზადება;

უნდა იყოს:

ა.ბ) პრაქტიკული ხასიათის საქმიანობაზე ორიენტირებული აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე პირების – ბაკალავრების და პროფესიული განათლების მქონე პირების – სპეციალისტების მომზადება

6.

მუხლი 6. „უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები“

ნაცვლად:

უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების, ასევე კანონმდებლობით დაშვებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

უნდა იყოს:

ა) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამების, ასევე პროფესიული განათლებისა და კანონმდებლობით დაშვებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება.

საკითხს წარმომადგენლობით საბჭოში გაიტანს პროფ. ზ. ლომსაძე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი

გ. სალუქვაძე